პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 31 (154) 10 ნოემბერი 1961 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

461. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სირიის არაბთა რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ა. ბარკოვსკის დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

462. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის არმიის გენერალ დ. დ. ლელიუშენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
463. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინორეჟისორ ი. ა. პირიევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
464. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებისა და მემონტაჟეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
465. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს კრემენჩუგესმშენის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
466. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „გიდრომონტაჟის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

467. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის ადგილებში რეჟიმის ბოროტ დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არგამოყენების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

461 სირიის არაბთა რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ა. გარკოვსკის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ანატოლ ალექსანდრეს ძე **ბარკოვსკი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად სირიის არაბთა რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 3 ნოემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

462 სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის არმიის გენერალ დ. დ. ლელიუშენკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის არმიის გენერალ დ. დ. ლელიუშენკოს დაბადების 60 წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად, ამხ. დიმიტრი დანილის ძე **ლელიუშენკო** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 1 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

463 კინორეჟისორ ი. ა. პირიევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის კინორეჟისორი ივანე ალექსანდრეს ძე პირიევი დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 3 ნოემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

464 კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებისა და მემონტაჟეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურის აგებაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის, იმ დიდი წვლილისათვის, რომელიც შეტანილია შრომის პროგრესული მეთოდების დამუშავებითა და დანერგვით ჰიდრონაგებობათა მშენებლობასა და მოწყობილობის დამონტაჟებაში, მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“:**

1. ივანე მაქსიმეს ძე **ბუდნიკს** — კრემენჩუგჰესმშენის მეყალიბე-მემონტაჟეთა ბრიგადირს.
2. დიმიტრი ათანასეს ძე **კოვალენკოს** — ტრესტ „გიდროელექტრომონტაჟის“ ელექტრო-მემონტაჟეთა ბრიგადირს.
3. დიმიტრი ანდრიას ძე **კუზნეცოვს** — ს. ი. ჟუკის სახელობის ინსტიტუტ „გიდროპროექტის“ უკრაინის განყოფილების დირექტორს.
4. ეგნატე ტროფიმეს ძე **ნოვიკოვს** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის მინისტრს, კრემენჩუგმშენის ყოფილ უფროსს.
5. ვასილ ანდრიას ძე **ხარიტონოვს** — ტრესტ „გიდრომონტაჟის“ მემონტაჟეთა ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 4 ნოემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

465 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს კრემენჩუგჰესმშენის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მდინარე დნეპრზე კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დავალების წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგუ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რების მშენებლობის სამინისტროს „კრემენჩუგგესსტროის“ მშენებლობის სამმართველო დაჯილდებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 4 ნოემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

466 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ჰიდრომონტაჟის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჰიდრომექანიკურ ნაგებობათა ჰიდრომექანიკური მოწყობილობის დაპროექტებაში, დამზადებასა და დამონტაჟებაში მიღწეული წარმატებებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტი „ჰიდრომონტაჟი“ დაჯილდებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 4 ნოემბერი.

განკოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

შაქრის ჭარხლის თესლის გადაურგავად მოყვანის წესის დამუშავებასა და წარმოებაში დანერგვის საქმეში აქტიური მონაწილეობისა და გამოჩენილი ინიციატივისათვის და ჭარხლის თესლის უხვი მოსავლის მიღებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 3 ნოემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა კრასნოდარის მხარის სოფლის მეურნეობის 42 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია პ. გ. კარაეროვი — სტალინის სახელობის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობა „ხუტოროკის“ მთავარი აგრონომი, ნოვოკუბანსკის რაიონი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან: ი. ს. კარამნოვი — სტალინის სახელობის ჭარხლის საბჭოთა მეურნეობა „ხუტოროკის“ დირექტორი, ნოვოკუბანსკის რაიონი; ლ. ი. მაქსიმოვი — მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა „კუბანის“ დირექტორი, გულკევიჩის რაიონი, და გ. ი. პოლევი — საბჭოთა მეურნეობა „ზარიას“ კომბაინერი, ადიღეს ავტონომიური ოლქის შოვგენოვის რაიონი.

„საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოებულია 8 კაცი, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 30 კაცი.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურის აგებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა კრემენჩუგჰესმშენის სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევი და სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოების 509 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ამწეს მემანქანე ა. ა. ამოსოვი, ექსკავატორის მემანქანე პ. ს. არტამონოვი, ავტოზეინკალთა ბრიგადირი პ. ს. ბელიაკოვი, ხურო-შემფიცრავთა ბრიგადირი ი. ფ. გენდელეკა, შოფერი ბ. ი. გრიცენკო, ტრესტ „იუჟელექტროსეტსტროის“ ელექტრომემონტაჟე ლ. ა. კარეტა, მებულდოზერე ვ. მ. კაცურა, მშენებლობის უფროსის მოადგილე მ. ი. კილი, წარმოებითი საწარმოების დნეპროვსკის კომბინატის ექსკავატორის მემანქანე ა. ა. კოსტეცკი, ტრესტ „გიდრომონტაჟის“ მემონტაჟეთა ბრიგადირი ა. დ. ლებედევი, წარმოებითი საწარმოების დნეპროვსკის კომბინატის მებეტონეთა ბრიგადირი ე. ი. მარუსენკო, ტრესტ „გიდროელექტრომონტაჟის“ უბნის უფროსი პ. ვ. ოლეინიკოვი, სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი ვ. ა. პეტროჩენკო, შოფერი ბ. ი. პოლუიანოვი, სამშენებლო სამმართველოს უფროსი ზ. ლ. სერი, ამწეს მემანქანე ვ. ა. სიდოროვი, კრემენჩუგჰესმშენის უფროსი გ. ი. სტროკოვი, ტრესტ „გიდრომეხანიზაციის“ კრემენჩუგის სამმართველოს ყოფილი უფროსი ა. ლ. უსპენსკი და კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მთავარი ინჟინერი ი. ვ. შრედერი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 61 კაცი, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 122, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 158 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 149 კაცი.

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ-ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲓᲐᲧᲝᲤᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ

ქალაქის ტიპის დაბა ოსტერის რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისადმი მიკუთვნების შესახებ

ჩერნიგოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის 1961 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ოსტერის რაიონის ქალაქის ტიპის დაბა ოსტერი მიკუთვნებულია რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახლებული პუნქტების რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისადმი მიკუთვნების შესახებ

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 23 ოქტომბრის გრძანებულებებით რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას მიეკუთვნა შემდეგი დასახლებული პუნქტები:

ა) პავლოდარის ოლქის ერმაკის რაიონის დასახლებული პუნქტი ერმაკი.-ქალაქ ერმაკის ქალაქის ფარგლებში შეტანილია ერმაკის სახელმწიფო რაიონული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან არსებული დაბა;

ბ) აღმოსავლეთ-ყაზახეთის ოლქის შემონაიხის რაიონის საქალაქო დაბა შემონაიხა.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

467 საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის ადგილებში რეჟიმის ბოროტ დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არგამოყენების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით პატიმრობის ადგილებში რეჟიმის ბოროტ დამრღვევთა მიმართ სასჯელის ზომების შემსუბუქების არგამოყენების შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ნება მიეცეს სასამართლოებს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით 1961 წლის 1 მარტიდან არ გამოიყენონ სასჯელის ზომების შემსუბუქება იმ პირთა მიმართ, რომელთაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი და რომელნიც სასჯელის მოხდის პერიოდში არ დაადგნენ გამოსწორების გზას— ბოროტად არღვევენ რეჟიმს ან სისტემატურად არიდებენ თავს სამუშაოს,

ან ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, თუ განაჩენები ამ პირთა მიმართ ძალაში შევიდა 1961 წლის 1 მარტამდე, ე. ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 3 ნოემბერი.